პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 90 (18632) კვირა, 17 აპრილი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

პარტიისა და ხალხის ერთიანობა, დიდი ლენინის ანდერძის ერთგულება ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საკირველმაისო მოწოდებებიდან

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის საპირველმაისო მოწოდებანი

1. გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს —მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

4. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს!

დაე, მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება!

5. დაე, მტკიცდებოდეს მსოფლიო სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლეველი კავშირი!

6. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობას, თანამშრომლობასა და შეკავშირებას, მათს ურყევ გადაწყვეტილებას განამტკიცონ და დაიცვან სოციალიზმის მონაპოვრები, ქვეყნად მშვიდობა!

7. ძმური სალამი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს, რომლებმაც აირჩიეს სოციალისტური განვითარების გზა!

8. ძმური სალამი ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

9. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს!

10. ძმური სალამი თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლებს, რომლებიც ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

11. ძმური სალამი იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მებრძოლ აფრიკის ხალხებს!

თავისუფლება სამხრეთ აფრიკისა და ნამიბიის ხალხებს!

12. მხურვალე სალამი იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული განვითარებისათვის მებრძოლ ლათინური ამერიკის ხალხებს!

13. არაბული ქვეყნების ხალხებო! შეაკავშირეთ თქვენი რიგები ისრაელის აგრესიისა და იმპერიალიზმის დიქტატის წინააღმდეგ ბრძოლაში!

დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-არაბეთის მეგობრობა!

14. მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შეწყვეტა, ოკუპანტთა ჯარების გადაუდებელი, მთლიანი და უპირობო გაყვანა ლიბანიდან, ყველა მიტაცებული არაბული მიწა-წყლიდან! სირცხვილი ისრაელ აგრესორებსა და მათს მფარველებს!

პალესტინელი ხალხის მართალი საქმე გაიმარჯვებს!

ახლო აღმოსავლეთს — მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა!

15. ევროპის ქვეყნების ხალხებო! არ დაუშვათ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგება!

ევროპას — მშვიდობა, უშიშროება და თანამშრომლობა!

16. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და ჰეგემონიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და უშიშროებისათვის!

დაე, აზია გახდეს ნდობისა და თანამშრომლობის კონტინენტი!

17. მსოფლიოს ხალხებო! საკადრისი პასუხი გაეცით იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რევანშიზმის აგრესიულ ხრიკებს!

ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება, აღმოვფხვრათ ომის საფრთხე, დავიცვათ და გავაღრმოოთ დაძაბულობის შენელება!

18. მთელი პლანეტის ადამიანებო! ამრავლეთ ძალები ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში!

მოითხოვეთ აიკრძალოს ბირთვული, ნეიტრონული და ქიმიური იარაღი!

მსოფლიოს — მშვიდობა!

19. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას!

ხორცი შევასხათ საბჭოთა სამშვიდობო პროგრამას!

20. დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მშვიდობისათვის თანამიმდევრულ მებრძოლს!

21. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! უფრო მაღლა ასწიეთ ყველა მაჩვენებლის მიხედვით 1983 წლის გეგმის, XI ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

დაე, უფრო ძლიერი, მდიდარი და ლამაზი გახდეს ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლო!

22. კომუნისტებო! იყავით პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში!

23. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! გაზარდეთ შრომის ნაყოფიერება, აამაღლეთ მისი ეფექტიანობა და ხარისხი თითოეულ სამუშაო ადგილას!

დამკვრელურად მუშაობა ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალია!

24. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში!

ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! შექმენით თითოეულ შრომითს კოლექტივში შემოქმედების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, ხუთწლედის შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ვითარება!

განამტკიცეთ ორგანიზებულობა და წესრიგი, შეგნებული კომუნისტური დისციპლინა!

26. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! დაიჩქარეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი!

ბეჯითად დანერგეთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმები!

ეკონომიკას — ინტენსიური განვითარება!

27. სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაკებო! გაადიდეთ ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მოპოვება, ელექტროენერგიის წარმოება!

28. საბჭოთა მეტალურგებო! საიმედოდ უზრუნველყავით ლითონზე ქვეყნის მოთხოვნილებანი!

გააფართოვეთ ეკონომიური ლითონპროდუქციის გამოშვება, გაუმჯობესეთ მისი ხარისხი!

29. მანქანათმშენებლებო! უფრო სწრაფად შეასხით ხორცი მეცნიერულ და საინჟინრო აზრს ახალი დიდმწარმოებლური და ეკონომიური მანქანებითა და ხელსაწყოებით!

დაიჩქარეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განახლება!

30. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! უფრო სრულად უზრუნველყავით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი ქიმიურ პროდუქტებსა და მასალებზე!

31. მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ მოსახლეობისათვის საქონლის წარმოება, გააფართოვეთ მისი ასორტიმენტი და გაუმჯობესეთ ხარისხი!

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას — ყოველდღიური ყურადღება!

32. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! დღენიადაგ გაუმჯობესეთ მუშაობის ხარისხი და ეფექტიანობა! მიაღწიეთ სახალხო-სამეურნეო ტვირთის შეუფერხებელ გადაზიდვას, მოსახლეობის მომსახურების მაღალ კულტურას!

33. მშენებლებო და მემონტაჟეებო! აამაღლეთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა!

აშენეთ კომპლექსურად, ეკონომიურად და ხარისხიანად, თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე! დროულად ჩააბარეთ ასამუშავებელი ობიექტები!

34. აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებო! მიაღწიეთ სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფას!

სასურსათო პროგრამის რეალიზაცია საყოველთაო-სახალხო საქმეა!

35. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უფრო აქტიურად დანერგეთ მიწათმოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა! გაადიდეთ მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება!

ყაირათიანად გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, შრომითი და ფინანსური რესურსები!

საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს — მაღალი ხარისხი!

36. სოფლის მეურნეობის მშრომელებო! ყოველნაირად გაზარდეთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა, განამტკიცეთ მისი საკვები ბაზა! იბრძოლეთ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოების გადიდებისათვის!

37. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების,საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების მუშაკებო! აამაღლეთ შრომის ხარისხი და კულტურა, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ მოსახლეობის მოთხოვნა.

38. გამომგონებლებო და რაციონალიზატორებო! იყავით ტექნიკური პროგრესის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

39. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ კვლევის ეფექტიანობა! დაე, მტკიცდებოდეს მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

40. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ კომუნისტური იდეურობის, პარტიულობისა და ხალხურობის დროშა!

შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

41. სახალხო განათლების მუშაკებო! აამაღლეთ მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ეფექტიანობა!

42. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურება, აიმაღლეთ პროფესიული ოსტატობა!

43. ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო! გაზარდეთ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობა! ამრავლეთ საბჭოთა სპორტის დიდება!

44. გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვის სკოლას, მეურნეობრიობის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

45. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

46. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ცოდნას, კულტურას, პროფესიულ ოსტატობას!

იყავით ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის შეგნებული მებრძოლები!

47. სახელოვანო ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აღზარდეთ ახალგაზრდა თაობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის რევოლუციური საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით!

48. საბჭოეთის ქალებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

დიდება ქალს — დედას!

მშვიდობა და ბედნიერება მთელი მსოფლიოს ბავშვებს!

49. საბჭოთა მეომრებო! სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება!

ფხიზლად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების მონაპოვრები!

გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

50. დაე, მარად ცოცხლობდეს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა!

სამარადისო დიდება ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირებს!

51. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ინტერნაციონალურ ერთიანობასა და ძმურ მეგობრობას — ჩვენი საზოგადოების ძლიერების ცხოველმყოფელ წყაროს!

52. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს!

53. გაუმარჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციას!

გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს — ხელისუფლების ნამდვილ დემოკრატიულ ორგანოებს!

54. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

პარტიისა და ხალხის ერთიანობა, დიდი ლენინის ანდერძის ერთგულება ყველა ჩვენი გამარჯვების საწინდარია!

55. გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

56. ლენინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

თავისუფალი შრომის დიდი ზეიმი

გუშინ კომუნისტურ შაბათობაზე

ასიათასობით საქართველოს მშრომელმა მიაშურა გუშინ სამრეწველო საწარმოს, საამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციას, დაწესებულებას, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. არაჩვეულებრივი გამოცოცხლება იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ველ-მინდვრებში, ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში.

ასობით საამქროს, ბრიგადის, საწარმოს კოლექტივმა არ გასტეხა თავის სიტყვა და სახელმწიფო გეგმა დაზოგილი ლითონით, ცემენტით, სათბობით, ელექტროენერგიითა და სხვა მასალით შეასრულა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბევრმა მშრომელმა შეასრულა გუშინ პირველი მაისის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება. მათ პარტიას და მთავრობას ოთხი, ხუთი, ექვსი თვისა და მომდინარე წლის გეგმის შესრულებაც უპატაკეს.

კომუნისტური შაბათობის მომწყობ რესპუბლიკურ შტაბს გუშინ ერთ-ერთმა პირველმა თბილისის სავაგონო დეპოდან შეატყობინეს, რომ დამთავრდა ერთი ზეგემითი სამგზავრო ვაგონის შეკეთება და დღის ბოლომდე საწარმოდან გამოვა ათი კონტეინერი. თბილისის „ელმავალმშენებელის“ საწარმოო გაერთიანებიდან კი გადმოსცეს, რომ შაბათობაზე თავი გამოიჩინა ახალგაზრდულმა კომკავშირულმა ბრიგადამ, რომელსაც რ. გოგიაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრებმა წლის დამდეგიდან დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავეს და შრომის უდიდეს ნაყოფიერებას მიაღწიეს.

ლენინურ შაბათობაში ჩვენს რესპუბლიკაში 2.600 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. წინასწარი მონაცემებით დამზადდა 15 მილიონი მანეთის პროდუქცია და გამომუშავებული ხელფასიდან მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 2,1 მილიონი მანეთი გადაირიცხა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი აღმავლობით შესრულდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, დამკვრელური შრომა სუფევდა სარემონტო სახელოსნოებში და ფერმებში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა ერთხელ კიდევ დამტკიცეს, რომ მჭიდროდ არიან შეკავშირებული კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გარშემო, მზად არიან წარმატებით გადაწყვიტონ ამოცანები, რომლებიც მათ სკკპ XXVI ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა დაუსახა.

გუშინ შაბათობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტომაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ხ. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ხ. სანაკოევი.

დაზოგილი სათბობით

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). გუშინ თბილისიდან ყველა რეისი მოსკოვში სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველოს თვითმფრინავებმა შეასრულეს წლის დამდეგიდან დაზოგილი სათბობით. შაბათობაში მონაწილეობდა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მთელი კოლექტივი. მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში ავიატორებმა 2500 მანეთზე მეტი გადარიცხეს და კეთილმოაწყეს აეროვაგზლის ტერიტორია, დიახ, ყველაზე აღრე შრომის დღესასწაული თბილისში ავიატორებმა დაიწყეს, შემდეგ კი სამუშაოს ათიათასობით თბილისელმა მიაშურა.

მუყაითად იშრომეს თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა, წარმოების ყველა უბანზე დისციპლინის გაძმტკიცებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა. კოლექტივებმა, რომელსაც ოსტატები ვ. ქოიავა, ნ. გვარამიძე და ნ. მასლოვი ხელმძღვანელობენ, გუშინ ოთხი თვის დავალება შეასრულეს. ამ დღეს ქარხნის 100-ზე მეტმა მუშამ გეგმას 1,5-ჯერ გადააჭარბა.

საწარმოებში და მშენებლობებზე, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტებში ყველგან შრომითი აღმავლობის ატმოსფერო სუფევდა.

ხუთწლედის ფონდში

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ქალაქებსა და რაიონებში მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა შრომის ზეიმი. შაბათობაში მონაწილეობა მიიღო ყველა სამრეწველო საწარმომ, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, სამეცნიერო და კულტურის დაწესებულებამ.

272 ათასზე მეტი მშრომელი გამოვიდა გუშინ შაბათობაზე, მათ შორის თავის სამუშაო ადგილზე იმუშავა ათობით ათასმა კაცმა. დამზადდა მილიონ 160 ათასი მანეთის პროდუქცია.

საამშენებლო ორგანიზაციებმა კარგად იშრომეს. შესრულდა 343 ათასი მანეთის საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. ყველა სახეობის ტრანსპორტით 30 ათას ტონაზე მეტი ტვირთი გადაიზიდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 350 ჰექტარი სიმინდი დაითესა.

სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაზოგილი ნედლეულით და საწვავ-ენერგეტიკული რესურსებით 64 კოლექტივი მუშაობდა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 256.400 მანეთი გადაირიცხა.

დიდი აღმავლობით

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის ქალაქებსა და სოფლებში ლენინური შაბათობა დიდი შრომითი ენთუზიაზმით ჩატარდა. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გამოვიდა 190 ათასზე მეტი კაცი, მარტო ბათუმში 73 ათასამდე კაცი მონაწილეობდა ლენინურ შაბათობაში. დაზოგილი მასალებით ელექტრომექანიკოსებმა სხვადასხვა მარკის 18 ელექტროკარი ააწყვეს, მანქანათმშენებლებმა კვების მრეწველობის ათობით მანქანა გამოუშვეს.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ორმოცდაშვიდი გემი მუშაობდა დაზოგილი სათბობითა და ელექტროენერგიით, მენავიობებმა ასიათასობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. ასეთივე წარმატებით იშრომეს გემთმშენებლებმა ხის დასამუშავებელი კომბინატის, ფეხსაცმლისა და თამბაქოს ფაბრიკების, სამკერვალო გაერთიანებისა და სხვა კოლექტივებმა.

თექვსმეტ აპრილს ლენინურ შაბათობაში თავისი წვლილი შეიტანა 190 ათასზე მეტმა კაცმა. გამომუშავებული თანხა 185 ათასი მანეთი გადარიცხეს ხუთწლედის ფონდში.

გუშინ სანაკებო შრომითი ტრადიციების საწარმოში — თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომელიც წლეულს დაარსების 100 წლისთავს იზეიმებს, განსაკუთრებული შრომითი ენთუზიაზმი იგრძნობოდა. კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 1600 კაცმა, ისინი თავიანთ სამუშაო უბნებზე კარგად გაისარჯნენ და 49 ათასი მანეთის პროდუქცია დაამზადეს, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში 8500 მანეთი გადარიცხეს.

სურათზე: შაბათობის მონაწილეები, № 2 ელექტროსეკციების შემკეთებელი კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. აკობაშვილი ხელმძღვანელობს.

ხ. კილაძის ფოტო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. მ. მ. ძაჯაიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

ამხ. მერაბ მუსას ძე ქაჯაია დაინიშნოს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 16 აპრილი.

ამხ. მერაბ მუსას ძე ქაჯაია

ამხ. მერაბ მუსას ძე ქაჯაია დაიბადა 1933 წელს, ქართველი, სკკპ წევრი 1965 წლიდან, აქვს უმაღლესი პედაგოგიური და იურიდიული განათლება, დამთავრა აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი პარტიული სკოლა.

1954-1956 წლებში იყო საბჭოთა არმიის რიგებში.

1956 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს ალკკ ბათუმის რაიკომის მეორე, შემდეგ პირველ მდივნად, საქართველოს ალკკ სოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, საოლქო კომიტეტის მეორე და პირველ მდივნად. 1964-1969 წლებში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის პირველ მდივნად, 1969-1974 წლებში — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნად.

1974-1975 წლებში იგი მუშაობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხელმძღვანელობდა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს.

1975 წელს აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის პირველ მდივნად. 1977 წლის თებერვლიდან იგი იყო საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი. (საქინფორმი).

დღეს ხოგზი გაიმართება მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.



(მასალები იხილეთ მე-2 გვერდზე).

ჩაის ხარისხისათვის ბრძოლა გრძელდება

ზარშანდელი სამეურნეო წელი წარმატებით დაამთავრეს ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებმა. მათ დაამზადეს 72.306 ტონა ნედლეული, რომლის 72 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება 1981 წლის დონეს. მაგრამ ზუგდიდელები მიღწეულს არ სჯერდებიან და წლეულს უფრო სერიოზული მიჯნები აქვთ დასახული. რა კეთდება ამჟამად რაიონში საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში და ხარისხიანი შესრულებისათვის, იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონს, შექმნან ახალი წარმატებების მოპოვებისა საფუძველი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ ზუგდიდის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს **ვ. დემურიას.**

— წლეულს ზუგდიდში ორჯერ მოვდა უჩვეულოდ დიდი თოვლი, რომელმაც, გარდა იმისა, რომ შეაფერხა მუშაობა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალიც მოგვაყენა. პლანტაციებში თითქმის მთლიანად დაგვენგრა ჩაის შესანახი ხის დროებითი ფარდულები, თანაც შიდასაპლანტაციო გზებიც გაგვიფუჭდა. ახლა სწრაფად კეთდება ის, რაც სტიქიამ მოსრა, მაგრამ გვიჭირს საშენი მასალები. რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეძლებისდაგვარად მომარაგებული არიან მექანიზებული სასხლავი აპარატებით.

გვაიმედებს ის გარემოება, რომ ყველა საზოგადოებრივი მეურნეობა, სადაც ჩაის ფოთოლი მობილური მანქანებით უნდა მოიკრიფოს, მთლიანად აის უზრუნველყოფილი „საქართველოთი". ეს დიდი შეღავათია, მაგრამ გვაქვს ერთი გადაუჭრელი პრობლემა — ხელის საკრეფი აპარატების უხარისხობა. საქმე ის გახლავთ, რომ მათი ძრავები ხშირად გამოდის მწყობრიდან. მდგომარეობის რადიკალურ გარდაქმნას კი წლების მანძილზე საშველი არ დაადგა.

არადა, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებთო, რაიონის ნარაზენისა და ხეცერის დიდ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სადაც რელიეფური თუ სხვა პირობების გამო მობილურ მანქანებს ვერ იყენებენ, მთლიანად ხელის საკრეფი აპარატების იმედად არიან. ამასთანავე მცირე მექანიზაციისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობებია გამოყოფილი რუხში, ჰაქვინჯაში, ოდიშში, კახათში, ინგირში...

წლეულსაც ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია ნედლეულის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. ინიციატორის სახელი ხომ თვისთავად ბევრს გვავალებს. გარდა ამისა, მახარაძელ მეჩაიეთა წლევანდელი მოწოდებისა არ იყოს, ხარისხისათვის ბრძოლა კვლავ უფრო მეტი შეუპოვრობით და მონდომებით უნდა გაგრძელდეს. ამ მხრივ წლეულს რამდენიმე საკითხი უკვე მოვაგვარეთ. ერთ-ერთი მათგანი იყო ჩაის საკრეფი კალათებით მეურნეობების უზრუნველყოფა. წინათ მისი ნაკლებობის გამო ხშირად ჩაი რბილ ტარაში, ტომრებში იყრებოდა, რაც აუარესებდა ნედლეულის ხარისხს. წლეულს აგროსამრეწველო გაერთიანებამ საკოლმეურნეობათაშორისო სატყეო მეურნეობის ბაზაზე გახსნა კალათების დამამზადებელი სამკერო, რომელიც არსებითად გამოასწორებს ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას.

რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა შორის სეზონისათვის ყველაზე უკეთ მოემზადნენ კახათის მარქსის, ნარაზენისა და ინგირის სტალინის სახელობის, რუხის, ოდიშის, შამგონის კოლმეურნეობანი, ონორიისა და ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ცოდი მდგომარეობა არც სხვა მეურნეობებშია, მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს ყველგან ყველაფერი რიგზე გვქონდეს. ნაკლოვანებები და ხარვეზები საკმაოდ არის და მთელი ჩვენი მეცადინეობა ახლა მათ აღმოფხვრას ხმარდება.

რ. რუსია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ინიციატორთა სიტყვა და საქმე

მახარაძელ მეჩაიეებს ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოწვევის კარგი გამოცდილება აქვთ. წლითიწლობით რეკორდულ მოსავალს იღებენ, აუმჯობესებენ ნედლეულის ხარისხს. აქ ბოლო ხანებში დამკვიდრდა და წარმიების ინტენსიფიკაციას ხელს უწყობს კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება. გამოჩნდნენ ჩაის პლანტაციების ახალი ნოვატორები. ერთ-ერთი მათგანია მახარაძის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი მაყვალა თოიძე, რომელიც შრომობს დევიზით: „ორი ხუთწლედის გეგმები შევასრულოთ ერთ ხუთწლედში".

საგულისხმოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი მახარაძელთა თაოსნობას — „მეჩაიეთა გადაძახილი მევენახეებს".

როგორ შრომობენ ინიციატორები მიმდინარე სეზონში?

რაიონში სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის 7.740 ჰექტარზე მთლიანად დამთავრდა რიგთშორისების მსუბუქი ბარვა, მინერალური სასუქების შეტანა, შედარებით მწირნაოდაგიან პლანტაციებში დამატებით შეტანილია ასობით ტონა ორგანული სასუქი.

— თავდადებული გარჯით მეოერთმეტე ხუთწლედის შეაგუები წლის უხვ მოსავალს საფუძველს უქმნიან მეჩაიეები, — გვითხრა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა **ო. თენგიშვილმა,** — თუმცა ამინდი ერთგვაროვან ჭიბრვეულობს, მაგრამ პლანტაციების ყველა კუთხე-კუნჭული სანიმუშოდ არის მოვლილი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკები წლეულს უკეთესად მოემზადნენ და, რაც მთავარია, სეზონში სრული სიმძლავრით ამუშავდებიან ჩაის მიკროფაბრიკები სოფელ ნატანებში, შემოქმედსა და მშვიდობაურში. როგორც სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მშენებლები გვპირდებიან, სეზონის დამდეგიდან საექსპლოატაციოდ გადაეცემა ნარუჯის ჩაის გადასამუშავებელი ფაბრიკა-გიგანტი. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ვფიქრობთ, წლეულს ფოთლის კრეფის პიკის პერიოდში რიტმულად იმუშავებს გადამამუშავებელი მრეწველობა. ეს კი დიდად წაადგება მეჩაიეთა დევიზს: „რაოდენობაც, ხარისხიც".

სიტყვაგაუტეხელნი არიან მახარაძელი მეჩაიეები. ისინი წლეულს მზად არიან იმისათვის, რომ 100 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფონ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ნლეულს უკეთ, ვიდრე შარშან

„დავუბრუნოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება" — ოჩხამურელი მეჩაიეები ამ დევიზით განვაგრძობთ ბრძოლას დიდი ჩაისათვის.

უამინდობის მიუხედავად, წლეულს ადრე შეუდექით საგაზაფხულო სამუშაოებს. აგროწესების შესაბამისად შევიტანეთ სასუქები ჩაის პლანტაციებში, დავბარეთ და გავსახლეთ. ენერგიას არ ვზოგავთ, რადგან ამ დალოცვილმა მცენარემ იცის შრომის დაფასება.

ჩვენი მეურნეობა ამჟამად ინტენსიფიკაციის გზით ვითარდება. მეჩაიეთა განკარგულებაშია 300-ზე მეტი ტრაქტორი და ხელით საკრეფი აპარატი, რამაც მინიმუმამდე შეამცირა მძიმე ხელშრომა.

ჭირვეული და მკაცრი ზამთრის შემდეგ თბილი ამინდები დადგა. ჩაის ვეგეტაცია უკვე დაიწყო. თუ ასე გაგრძელდა, მაისის პირველ დეკადაში ჩაის ფოთოლი მოსაკრეფი გახდება.

ჩვენი მთავარი საზრუნავია რაოდენობასთან ერთად ვიზრუნოთ ხარისხისთვისაც. ახალი სეზონისთვის უკვე მზად ვართ. შევაკეთეთ მანქანები, გავმართეთ საკრეფი აგრეგატები. წლეულს ჩვენს რგოლს გადაწყვეტილი აქვს ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის წარმოების შარშანდელ დონეს 20 ტონით გადაჭარბოს.

კ. სებისკვერაძე.
ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დახმარება სჭირდებათ

გალის რაიონის ჩაის პლანტაციებში სულ უფრო ძლიერდება სამუშაოთა ტემპი. მეჩაიეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის გეგმა ვალდებულებანი. რაიონის მშრომელებმა იკისრეს წლეულს მოკრიფონ 45.575 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 400 ტონით აღემატება საგეგმო დავალებას.

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის ორგანიზებულად ემზადება სიდის კონსტიტუციის სახელობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი. მეურნეობის დირექტორმა გიგი შერვაშიძემ გვითხრა: მიუხედავად ზამთრის ჭირვეული ამინდებისა, სამუშაოები თითქმის არ შეგვიწყვეტია. სადრენაჟო არხების გასაწმენდად სპეციალური ბრიგადა გვყავს დაკომპლექტებული. მან დროულად დაამთავრა დაკისრებული საქმე. ხარისხიანად ჩავატარეთ პლანტაციების მწკრივთა შორის კულტივაცია, გადაბარვა, ფოსფორიანი და კალუმიანი სასუქების შეტანა და ეკალ-ბარდებისაგან პლანტაციების გაწმენდა.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მეჩაიეებს მაღალი მიჯნები აქვთ დასახული. უნდა მოკრიფონ 5.300 ტონა ჩაის ფოთოლი, მათ შორის 1.900 ტონა— მობილური მანქანებით და ხელის საკრეფი აპარატებით. ჩაის წარმოებაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა მეურნეობის ერთ-ერთი გადამწყვეტი რეზერვია. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი საქმეა პლანტაციებში ელექტროგაყვანილობის სისტემის განაგება. სეზონისათვის „საქსოფლელექტრომშენის" სოხუმის უბანს 48 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინა, დრო იწურება, ხოლო პლანტაციებში პროექტით გათვალისწინებული ბეკონი სამუშაო ჯერაც არ დაუწყიათ, მოძველდა მობილური მანქანებიც, არ ყმარა სათადარიგო ნაწილები. მეურნეობას უნდა მიეღო 9 ჩაის საკრეფი მანქანა, ნედლეულის უტარო გადაზიდვის 5 სპეციალური ავტომანქანა, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი არ მიუღიათ. მეჩაიეები ძარგა ხანია ელოდებიან ხელის სასწორებს, ბრეზენტებს, მაგრამ ამაოდ.

აჩიგვარელ მეჩაიეებს სხვა გადაუჭრელი პრობლემებიც აწუხებთ. მეურნეობა-ტექნიკუმის მშრომელთა უმრავლესობა ცხოვრობს 40-50 წლის წინათ აშენებულ ბარაკის ტიპის სახლებში, რომლებიც დიდი ხანია ამორტიზებულია და უმრავლესობა დანგრევის პირამდეა მისული, მაგრამ ამ უძველეს მეურნეობაში საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო, საზოგადებრივი კვების ობიექტების, აბანოს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნაგებობათა მშენებლობის დაწყებაზე არავინ ფიქრობს.

მართალია, გალის რაიონის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ფაბრიკები ძირითადად კარგად მოემზადნენ სეზონისათვის, მაგრამ დღემდე ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი. კერძოდ, ოქუმის ჩაის ფაბრიკის მინაშენი კორპუსიდან, რომელიც შარშან უნდა ჩამდგარიყო მწყობრში, ჯერ კიდევ არ გამოსულან მშენებლები. დაუმთავრებელია საქვაბე მეურნეობისა და ელექტრომომარაგების სამუშაოები...

უფრო უარესი მდგომარეობაა აჩიგვარის ჩაის ფაბრიკაში. მისი მთავარი კორპუსის მშენებლობა-რეკონსტრუქციას, რომელიც შარშან დაიწყო, ბოლო არ უჩანს. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №7 ტრესტი ამ ობიექტს სათანადო ყურადღებას არ აქცევს, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები სეზონისათვის ვერ დამთავრდება.

კურიოზული შემთხვევა მოხდა ბარეულის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი — ა. ასვანაა). აქ რემონტის დაწყებიდანვე მოიხსნა და სხვა ფაბრიკას გადაეცა 21 როლერი, იმ განზრახვით, რომ სამაგიეროდ დაიდგმებოდა 8 უფრო მძლავრი როლერი, მაგრამ სეზონი კარზეა მომდგარი და ახლა გამოირკვა, რომ ბათუმელი მანქანათმშენებლები დანადგარებს ვერ უგზავნიან ბარეულის ფაბრიკას (?!).

მალე პლანტაციებში ფოთლის კრეფა გაჩაღდება, ჩაის მრეწველობის მუშაკებს ჯაფით მოწეული ნედლეულის შეუფერხებელი მიღებისა და უდანაკარგოდ გადამუშავებისათვის ჯეროვანი მზადყოფნა მართებთ.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲜᲘᲚᲘ

ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ. (საკ. კორ). კომუნისტური შაბათობა ნამდვილ შრომის ზეიმად გადაიქცა სამხრეთ ოსეთში. ამას კარგმა ამინდმაც შეუწყო ხელი. სამუშაოდ 52 ათას 560 კაცი გამოვიდა, მათ გამოუშვეს 311 ათასი მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში 47 ათას მანეთზე მეტი გადარიცხეს.

შრომის დიდ ნაყოფიერებას მიაღწიეს ცხინვალის ელექტროვიბრომანქანებისა და ემალსადენის ქარხნების, სამკერვალო და ტრიკოტაჟის ფაბრიკების მრავალიცხოვანმა კოლექტივებმა, კვაისელმა მაღაროელებმა. ბევრმა მათგანმა დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავა. სოფლის მშრომელთა მარკვენამ კი დაამშვენა ხეხილის ბაღები და ვენახები. სანიმუშოდ მოაწესრიგეს მეცხოველეობის ფერმები, ქუჩები, სკვერები. დაიგო ათასობით ბი და ბუჩქი, კეთილმოეწყო სოფლები და რაიონული ცენტრები.

ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ, ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქუთაისელი მშრომელები მაღალორგანიზებულად გამოვიდნენ კომუნისტურ შაბათობაზე. წინასწარი მონაცემებით, შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 62 ათასმა მშრომელმა, რომელთაგან უშუალოდ პროდუქციის შექმნაზე იმუშავა 30 ათასმა კაცმა, მათ აწარმოეს 1.400 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან 450 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საგნებია. ამ დღეს მიმდინარე წლის 4 თვის დავალება შეასრულა 50 საამქრომ, 60 ცვლამ, 20 ბრიგადამ და 3000 კაცმა.

ქუთაისელებმა ხუთწლედის ფონდში გადარიცხეს 70 ათასი მანეთი.

შეგროვდა და სახელმწიფოს ჩაბარდა 300 ტონა ლითონის ჯართი, გარდა ამისა ამ დღეს მშენებლობაზე შესრულდა 130 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო.

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ᲤᲝᲗᲝᲗᲘ (საკ. კორ.). გუშინ აქ ორგანიზებულად მიეწყო ლენინური შაბათობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების 19.695 წარმომადგენელმა, მთგან 13.970 კაცმა უშუალოდ სამუშაო ადგილებზე შექმნა პროდუქცია, ხოლო 5725 კაცი ქალაქის კეთილმოწყობაზე იყო დასაქმებული. სულ ფოთელმა მშრომელებმა წეთელი შაბათობის დღეს გამოუშვეს 425200 მანეთის სამრეწველო პროდუქცია, 40 ათასი მანეთის სახალხო მოხმარების საგნები, დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით იმუშავა ოთხმა საამქრომ, 9 უბანმა, ორმა ბრიგადამ, ათმა ცვლამ. მთლიანად კი დაზოგილი მასალებითა და ნედლეულით, ელექტროენერგიითა და სატბობით დამზადდა 15.500 მანეთის ნაწარმი, შესრულდა 36,5 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გადაიზიდა ათასობით ტონა ტვირთი.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ტყიბული (საკ. კორ.). გუშინ ლენინის სახელობის შახტის 400 მუშა ჩაეშვა მიწისქვეშა სანგრევში. ისინი დაზოგილი მასალებით მუშაობდნენ. ლენინელებმა ამ დღეს 2000 ტონა საკოქსე ქვანახშირი ამოიღეს.

კომუნისტურ შაბათობაში სულ ქალაქისა და მისი ზონის 21 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის უშუალოდ მატერიალური დოვლათის შექმნაში დასაქმებული იყო 12.500 კაცი, მთელი დღის განმავლობაში ამოღებულია 3000 ტონა ქვანახშირი, გამოშვებულია 6000 ცალი აგური, 90 კუბმეტრი რკინა-ბეტონის ნაწარმი და ხე-ტყის მასალა. თავი ისახელეს გელათელმა მეტრანსფორმატორებმა, მათ 370 ცალი ტრანსფორმატორი გამოუშვეს. ტრანსფორმატორების ერთი პარტია საზღვარგარეთ გასაგზავნად არის გაწყობილი. სულ ტყიბულელებმა შაბათობაზე 140 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და ხუთწლედის ფონდში 30 ათასი მანეთი გადარიცხეს.

საგაზაფხულო კულტურები დაითესა 100 ჰექტარზე, დაიორგა ათასობით ძირი ხე და ბუჩქი. კეთილმოეწყო ქუჩები და გაზონები.

ᲓᲐᲖᲝᲒᲘᲚᲘ

ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲗ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). წლევანდელი წითელი შაბათობა განსაკუთრებულ პერიოდს დაემთხვა. ხანგრძლივმა ზამთარმა და ნაგვიანევმა გაზაფხულმა ბევრი სამუშაო დაამთხვია ერთმანეთს. ამიტომაც იყო, რომ ამ დღეს ორგანიზებულად გამოვიდა სამუშაოდ ქალაქში მცხოვრები 26 ათასი კაცი, თითოეული მათგანი მაღალსაყოფიერად გაისარჯა და გუშინ აქ 340 ათასი მანეთის პროდუქცია შეიქმნა, ხოლო გამომუშავებული ხელფასიდან 35 ათასი მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა.

შრომის დღესასწაულში 3700 მეტალურგი მონაწილეობდა. 350 კაცი ლითონის სადნობ ღუმელებთან დადგა და დაზოგილი მასალებითა და ელექტროენერგიით 25 ტონა ფეროშენადნობი გამოუშვა. დაზოგილი მასალებით იმუშავეს მეკაბელეებმაც. აწარმოეს ნახევარი ტონა ალუმინის შიშველი და 240 კილომეტრი გასანათებელი სადენები.

7500 კაცზე მეტი შრომობდა სოფლად, დაითესა 260 ჰექტარი სიმინდი და დაირგო 6500 ძირზე მეტი მცენარე.

ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

ახალციხე. (საკ. კორ.). შაბათობაზე ნაყოფიერად იშრომეს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხვნელმთესველებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. ამ დღეს საგაზაფხულო სამუშაოებში მონაწილეობდა 5000-ზე მეტი კაცი. მათ 110 ჰექტარზე დათესეს კარტოფილი, 130 ჰექტარზე — ერთწლოვანი ბალახები, 20 ჰექტარზე — ბოსტნეული, 40 ჰექტარზე შეწამლეს ხეხილის ბაღები.

შაბათობაზე ორგანიზებული შრომით თავი გამოიჩინეს აწყურის, აგარის, წყალთბილას, მინაძის და სხვა მეურნეობათა მშრომელებმა. მათ მიერ გამომუშავებული თანხიდან 10.939 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხა.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში" წარმატებით ჩაიარა კომუნისტურმა შაბათობამ, რომელშიც 2500-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

სურათზე: კომბინატის ერთ-ერთი მოწინავე ბრიგადის წევრები.

ვ. მორგუნოვის ფოტო. (საინფორმი).

მცხეთის რაიონის წილკნის საბჭოთა მეურნეობაში შაბათობაზე დიდი ენთუზიაზმით გამოვიდნენ მშრომელები.

სურათზე: № 8 ბრიგადის წევრები, რომლებმაც ამ დღეს ვაზი შალარზე აიკრეს 10 ჰექტარზე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

16 აპრილი
უკანონო
ფაქტები მოვლენები
საკლესიო იუწყება

● თურქეთი

პრემიერ-მინისტრის განცხადება

სტამბოლი. მეზობელ ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბიულენდ ულუსუმ აქ გამართულ პრესკონფერენციაზე. ჩვენი ერთ-ერთი მიზანია, თქვა მან, განვაგრძოთ და განვავითაროთ ეკონომიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. ამას წინათ ორ ქვეყანას შორის სხვადასხვა დონეზე განხორციელებულმა კონტაქტებმა ხელი შეუწყეს იმ საფუძვლების განმტკიცებას, რომლებსაც ემყარება თურქეთ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი კავშირურთიერთობანი.

დაახასიათა რა დასავლეთის გაერთიანებებთან თურქეთის ურთიერთობა, პრემიერ-მინისტრმა აღიარა, რომ მისი ქვეყანა „ყოველთვის როდი გრძნობდა მათ მხრივ გაგებას". ამასთან დაკავშირებით მან გააკრიტიკა „საერთო ბაზრის" ქვეყნების პროტექციონისტული პოლიტიკა თურქეთის ექსპორტის მიმართ, რაც აუარესებს თურქეთის საგარეო ვაჭრობის ბალანსს.

● ესპანეთი

არჩევნებისწინა კამპანია დაიწყო

მადრიდი. ესპანეთში ოფიციალურად დაიწყო არჩევნებისწინა კამპანია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც 8 მაისს გაიმართება.

8 ათასზე მეტი მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში აირჩევენ თითქმის 69 ათას მრჩეველს. გარდა ამისა, პირველად აირჩევენ ადგილობრივ პარლამენტებს 13 ოლქსა და პროვინციაში, რომლებსაც ამას წინათ ავტონომია მიენიჭათ.

არჩევნებისათვის მზადებას აქტიურად შეუდგნენ 49 პოლიტიკური პარტია და კოალიცია, აგრეთვე ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციები. მიმომხილველთა აზრით, ძირითადი ბრძოლა გაიმართება ესპანეთის მმართველ სოციალისტურ მუშათა პარტიასა და მემარჯვენე „სახალხო ალიანსს" შორის.

● გულგარეთი

გაასამართლეს ჯაშუშები

სოფია. როგორც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშობაში ეჭიმ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცხრამეტე ხუთწლედის ცხრილიდან ჩანს, სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის პირველი კვარტალის გეგმები შეასრულეს რესპუბლიკის მეტმა წილმა ქალაქებმა და რაიონებმა, ქალაქების რუხთავის, გაგრის, ახალციხის, ახპინძის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, მცხეთის, ამბროლაურის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, წალკის რაიონების გარდა. სახაჭონლო პროდუქციის გეგმა შეასრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რესპუბლიკის ქალაქებმა და რაიონებმა ახპინძის, ონისა და ცხაკაიას რაიონების გარდა. გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით რამდენადმე შემცირეს წარმოების მოცულობა ქალაქ ტყვარჩელის, ახპინძის, ბორჯომის, გურჯაანის, ხიღნალის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, მცხეთის, ბოლნისის, წალკის, დუშეთის, თიანეთის, აჯაბეგის, ვანის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების საწარმოებმა.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით ჩამორჩნენ ახპინძის, ბორჯომის, გურჯაანის, ხიღნალის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, წალკის, დუშეთის, დმანისის, თიანეთის, აჯაბეგის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ხობის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონები.

მცირეა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი წარმოების საერთო მოცულობაში ჯაფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ქალაქების ზუგდიდის, ტყიბულის, გაგრის, ქარელის, გორის, საგარეჯოს, გურჯაანის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, წულუკიძის, თერჯოლის, ამბროლაურის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ლანჩხუთის რაიონების საწარმოებში. ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ახპინძის, წითელწყაროს, ყვარლის, ლაგოდეხის, გარდაბნის, წალკის, დმანისის, თიანეთის, აჯაბეგის, ვანის, მაიაკოვსკის, ხაჩხერის, ცაგერის, აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, მესტიის რაიონების საწარმოებში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის. (ხაჭინფორმი).

1983 წლის პირველ კვარტალში მრეწველობის ძირითად მაჩვენებელთა გეგმის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება პროცენტში	სასაქონლო, პროდუქციის გეგმის შესრულება პროცენტში	1983 წლის იანვარ-მარტი პროცენტობით 1982 წლის იანვარ-მარტთან შედარებით: წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება	ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო მოცულობაში
ხულ რესპუბლიკაში	102,4	103,0	105,5	104,5	15,0
აფხაზეთის ასსრ	108,5	105,1	110,1	110,9	4,9
აჭარის ასსრ	102,2	104,4	107,4	107,5	23,5
სამხრეთ ოსეთის აო	100,9	107,4	106,4	101,7	14,1
ქალაქები:					
თბილისი	102,0	101,9	108,4	108,0	16,0
სოხუმი	104,6	106,8	109,0	111,4	8,7
ბათუმი	102,1	104,3	105,7	105,8	25,2
ცხინვალი	101,9	107,1	109,5	104,2	15,0
ქუთაისი	101,6	102,0	102,1	102,1	34,6
რუსთავი	99,3	101,1	105,9	105,2	23,9
ფოთი	122,3	122,3	113,2	113,1	6,5
გორი	104,9	101,7	103,2	103,0	22,2
ზუგდიდი	104,8	103,7	101,2	101,3	6,8
გალი	103,8	104,5	107,1	105,8	43,2
ტყიბული	102,7	106,4	105,9	105,8	5,6
გაგრა	97,8	102,8	108,7	111,0	0,5
წყალტუბო	107,7	103,7	128,1	119,2	10,8
ტყვარჩელი	104,5	102,7	97,1	101,1	5,1
რაიონები:					
აბაშის	109,0	103,2	108,2	102,7	—
ადიგენის	100,9	111,6	399,5	356,1	—
ამბროლაურის	99,3	101,4	94,6	97,3	0,4
ახპინძის	79,1	80,7	83,0	63,5	—
ახალქალაქის	105,9	104,2	112,3	111,2	16,3
ახალციხის	99,3	102,5	130,0	130,3	—
ახმეტის	106,6	108,4	73,8	69,5	5,3
ბოგდანოვკის	106,2	105,5	115,3	115,0	—
ბოლნისის	106,7	103,7	96,5	100,0	2,1
ბორჯომის	86,4	102,4	98,3	95,2	7,9
ვანის	121,0	104,0	58,2	56,5	—
გარდაბნის	101,9	101,8	101,1	105,6	—
გეგეჭკორის	97,7	104,4	174,9	143,8	—
გორის	102,3	103,8	101,1	105,9	1,8
გურჯაანის	104,8	100,7	77,3	77,3	0,2
დმანისის	118,8	116,1	176,4	97,3	—
დუშეთის	129,0	111,1	67,3	66,0	20,6
ზესტაფონის	104,5	102,1	84,9	84,5	37,1
ზუგდიდის	104,4	103,5	696,5	606,2	—
ყაზბეგის	102,6	120,9	79,4	81,5	—
ქარელის	76,1	122,3	101,2	101,7	0,1
კასპის	101,9	102,6	100,3	102,5	18,3
ყვარლის	109,4	103,0	59,7	64,3	—
ლაგოდეხის	103,9	104,1	103,2	98,6	—
ლანჩხუთის	104,8	105,8	88,9	89,0	0,9
ლენტეხის	112,7	111,8	109,3	109,8	8,9
მახარაძის	107,6	105,6	106,8	106,2	6,0
მარნეულის	101,5	103,6	104,4	103,2	6,4
მაიაკოვსკის	110,1	107,8	113,1	119,1	—
მესტიის	110,3	105,2	119,2	124,0	—
მცხეთის	96,3	102,0	97,3	92,6	5,5
ონის	103,0	91,7	80,9	61,4	44,3
ორჯონიკიძის	102,2	102,3	86,2	90,5	10,1
საგარეჯოს	108,0	107,5	116,8	111,2	0,3
სამტრედიის	103,8	103,7	103,9	104,9	5,9
სიჩხერის	104,1	109,7	103,8	106,6	—
ხიღნალის	110,8	106,0	96,1	94,0	10,8
თელავის	107,2	102,8	98,9	95,3	5,5
თერჯოლის	105,5	104,7	100,7	98,7	1,8
თეთრი წყაროს	107,9	120,0	138,0	116,2	0,9
თიანეთის	110,6	115,2	98,6	97,3	—
ხაშურის	99,2	103,1	100,8	101,2	20,3
ხობის	101,6	102,8	114,3	86,2	—
წალკის	96,7	106,1	57,6	54,1	—
ცაგერის	105,1	107,0	118,2	113,6	—
წალენჯიხ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

წარმოების ინტენსიფიკაციის რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულნი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეაჯამა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგის 1981-1982 წლების საუკეთესო ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და ჩიანიგა:

მრეწველობის

დარგში:

პირველი პრემია 1200 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „დარტყმასაშში სიზრქის რეგიონალური დატენინების შემუშავება, დანერგვა და ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება ტყიბულშაორის საბადოს პირობებში“: **გელაშვილს** გივი მიხეილის ძეს— სამთო გეომექანიკისა და სამარკშაიდერო საქმის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს საყრდენი პუნქტის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **გორდენაძეს** ზაზა ამბროსის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ლელაძეს** თოთა ვარლამის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ დირექტორის წარმოების დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ჯაჯანიძეს** ანზორ პანტელეიმონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის“ „აღმოსავლეთ-2“ შახტის დირექტორს.

მესამე პრემია 300 მანეთის ოდენობით ნამუშევრებისათვის „თერმული წყლების ღრმა ჰიბერეალების გაყვანისას შეუწონასწორებელი ბურღვის ტექნოლოგიის გამოყენებით არსებული ტექნოლოგიის გაუმჯობესება“ და „საბურღი სვეტის ქვედში მასტაბილიზებელი მოწყობილობით აღუჭურველი ჰაბურღილების ჰაერთა გამრუდების თავიდან ასაცილებელი ბურღვის ტექნოლოგიის გამოყენება“: **გაბუნიას** გურამ ვარლამის ძეს — საქგეოლოგიის თერმული წყლების ღრმა სადაზვერვო ბურღვის ექსპედიციის მთავარ ინჟინერს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ქარხანაძეს** დემურ გალაქტიონის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნავთობისა და გაზის საბადოების დაზვერვისა და ბურღვის № 70 კათედრის უფროს მასწავლებელს.

მესამე პრემია 300 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „დატვირთვა-გადმოტვირთვის, სატრანსპორტო და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის კიდული კონვეიერი მარნეულის საცდელ-საექსპერიმენტო საწარმოო კომბინატში“: **ბადრიშვილს** ბადრი შალვას ძეს — ცეკავშირის მარნეულის საცდელ-საექსპერიმენტო საწარმოო კომბინატის მთავარ მექანიკოსს; **ბერიზაშვილს** ელგუჯა ილიას ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილეს; **გოცირიძეს** ბიძინა გიორგის ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს; **ოსელიანს** მიხეილ გიორგის ძეს — ცეკავშირის მარნეულის საცდელ-საექსპერიმენტო საწარმოო კომბინატის დირექტორს; **მაჭავარიანს** გივი ალექსანდრეს ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარ კონსტრუქტორს; **ფუხიგულაშვილს** რევაზ ილიას ძეს — ცეკავშირის მარნეულის საცდელ-საექსპერიმენტო საწარმოო კომბინატის მთავარ ინჟინერს; **ქავთარაძეს** თენგიზ მიხეილის ძეს — ცეკავშირის მარნეულის საცდელ-საექსპერიმენტო საწარმოო კომბინატის დირექტორის მოადგილეს; **შველიძეს** ელგუჯა კონსტანტინეს ძეს — სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს თბილისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსს.

სოფლის მეურნეობის

დარგში:

პირველი პრემია 1200 მანეთის ოდენობით ნამუშევრებისათვის „მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე უხვმოსავლიანი ჯიშის ლობიოს „ბუხრანულის“ შექმნა“ და „უხვმოსავლიანი ჯიშის სოიის „ქართული-7“ შექმნა“: **აფხაზავას** აკაკი არქიფოს ძეს — საქართველოს მიწათმთრქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს; **თედორაძეს** სერგი გედევანის ძეს — საქართველოს მიწათმთქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სელექცია-გენეტიკის განყოფილების უფროსს; ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს; **მახარობლიძეს** ანზორ გაბრიელის ძეს — მცხეთის სასელექციო სადგურის პარკოსანთა სექციის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს; **მდივანს** ანა ლუარსაბის ასულს — საქართველოს მიწათმთქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

პირველი პრემია 1200 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „სამინდოს უხვმოსავლიანი ჰიბრიდის „ქართული-9“ შექმნა“: **დეკაპარელეიშს** ლეონარდ ლეონარდის ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გენეტიკის კათედრის კონსულტანტს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტს (სიკვდილის შემდეგ); **ლიპარტელიანს** ოთარ ანტონის ძეს — საქართველოს მიწათმთქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს; **ღვინიაშვილს** მაყვალა სხივის ასულს — საქართველოს მიწათმთქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს (პენსიონერს); **ჩხეიძეს** ვასილ ტარასის ძეს — საქართველოს მიწათმთქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

პირველი პრემია 1200 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „კოლხეთის დაბლობის მძიმე ჭარბტენიანი ნიადაგების გაკულტურების ტრანშეული (ხოლური) მეთოდი“: **აბელიშვილს** გიორგი ვლადიმერის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ბუკიას** გიქორ ვლადიმერის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აგლომელიორატორს; **ნიკურაძეს** ჯონდო ვლადიმერის ძეს — საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს; **ქუთათელაძეს** ჯუმბერ ირაკლის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლხეთის ათვისების სამმართველოს უფროსს; **ხამზაევს** მიხეილ მიხეილის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს (სიკვდილის შემდეგ).

მესამე პრემია 300 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „ზაი ჩაის წარმოების წესი“: **კაჭარავას** ივლიანე რომანოზის ძეს— ცხაკაიას ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების ახალი ტექნიკის ინჟინერს; **ჟვანიას** გრიგოლ გრიგოლის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამაცივრო ტექნიკის № 47 კათედრის დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ცხაკაია** ვლადიმერ პაოლეს ძეს — ცხაკაიას ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს.

პირველი პრემია 1200 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „სოფლის მეურნეობის წარმოების სისტემების ტიპობრივი რეკომენდაციების შემუშავება“: **ბიბილეიშვილს** გალაქტიონ ეფრემის ძეს — ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონომიკის ზანყოფილების გამგეს, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს (სიკვდილის შემდეგ); **დარჩიაშვილს** რობინზონ გიორგის ძეს — საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **კეშელაშვილს** ომარ გრიგოლის ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სასურსათო კომპლექსის დარგის განლაგებისა და განვითარების განყოფილების უფროსს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს; **ეღენტს** პეტრე მაქსიმეს ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს.

მეორე პრემია 500 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „ჩაის ფოთლის მკრეფავებისათვის სპეციალური ტანსაცმელი მექანიკური ზემოქმედებისა და მავნე ბიოლოგიური ფაქტორებისაგან დასაცავად“: **ანასაშვილს** ქეთევანი ალოიზის ასულს — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო წარმოების კათედრის ასისტენტს.

მეორე პრემია 500 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „სპეციტანსაცმელი მეთამბაქოეებისა და მევენახეებისათვის“: **აკოფოვს** რობერტ ხაჩიკის ძეს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტანსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლის მთავარ კონსტრუქტორს; **გოგოლაშვილს** ავთანდილ ილარიონის ძეს — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს ტექნიკოსს; **მებაღიშვილს** მერი გიორგის ასულს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, სამინისტროს ტანსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლის კონსტრუქტორს; **მიქელაძეს** აკაკი ბარნაბის ძეს — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წამყვან ინჟინერს; **რაქვიაშვილს** ციალა იოსების ასულს — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მკერავ-მოტორისტს; **ტყეშელაშვილს** მაყვალა შალვას ასულს — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტანსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლის მთავარ ინჟინერს; **ჭოროყლაშვილს** ლამარა გიორგის ასულს — სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერს.

მესამე პრემია 300 მანეთის ოდენობით ნამუშევრისათვის „თავსაბური მიმდამბაქოეებისათვის“: **გიულნაზარავს** გრიგოლ მიხეილის ძეს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს, ქ. თბილისი; **კირიჩენკოს** დიანა კლავდის ასულს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერს, ქ. თბილისი; **მაისურაძეს** მარინე ლაზარეს ასულს — საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორს, ქ. თბილისი.

წამახალისებელი სიგელი ნამუშევრისათვის „მამაკაცის სპეციალური ფეხსაცმელი მეჩაიეებისა და მევენახეებისათვის“: **მაღლაკელიძეს** თინათინ არკადის ასულს —ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის მანქანებისა და ტყავის ნაწარმის ტექნოლოგიის კათედრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს.

მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის

დარგში:

წამახალისებელი სიგელი ნამუშევრისათვის „ნავთობისა და გაზის კონდენსატის ჰაბურღილების სიმტკიცეზე სამაგრი სვეტების გაანგარიშების ამოცანის ალგორითმების დაპროგრამება“: **ინანიერიძეს** ალექსანდრე ვიორგის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **თეთუნაშვილს** ირინე ირაკლის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს; **ხეფეიაშვილს** ნინა დავითის ასულს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ტაბაგარს** ალექსანდრა ნიკოლოზის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის გამოთვლითი ცენტრის დირექტორს, დოცენტს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს; **ჭაბაშვილს** რობერტ იაკობის ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საინფორმაციო ცენტრის უფროს ინსპექტორს.

წამახალისებელი სიგელი ნამუშევრისათვის „სარწყავ სისტემებში წყლით სარგებლობის ოპტიმალური გეგმის შედგენა მართვის ავტომატიზებული სისტემებისა და ელექტრონულ- გამომთვლელი მანქანის გამოყენებით“: **ლობჟანიძეს** ზურაბ სერგის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს; **ეგრეგელიძეს** შუქრი ვიქტორის ძეს — საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.



ახალი გამარჯვებით შეეგება საბჭოთა მეცნიერების დღეს სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის მეტალურგიის ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი კოლექტივი. აქ მეცნიერები წარმატებით იკვლევენ და ამუშავებენ სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებს. ამათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჭიათურის ღარიბი კარბონატული მადნების გამოყენებას მეტალურგიაში, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფასა და ინტენსიფიკაციას — უნარჩენო წარმოების ციკლის შექმნას ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, განსაკუთრებული თვისებების მქონე ფოლადების შექმნასა და დანერგვას წარმოებაში და სხვა.

სურათებზე: მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა ბაძოშვილი მყარ სხეულებში შინაგანი ხახუნის შესასწავლ დანადგართან; რენტგენოსპექტრული მიკროანალიზის რესპუბლიკური ცენტრის მეცნიერი თანამშრომლები თამილა აბულაძე და ბეჟან წერეთელი.

ვ. გენგიურის ფოტო და ტექსტი.

საბჭოთა მეცნიერების დღის აღსანიშნავად

15 აპრილს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა საბჭოთა მეცნიერების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

შეკრებილებმა ტაშის გრიალით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ა. აფაქიძემ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებსა და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მეცნიერს დღესასწაული მიულოცეს საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ც. მირცხულავამ, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა დ. მგელაძემ, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზელსაწყოს“ მუშამ ვ. ვოლნმ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ზ. ბუაჩიძემ.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. გურგენიძე.

(საქინფორმი).

ალმავლობის გზაზე

ბიოტექნოლოგია და მისი განვითარების პერსპექტივები

ბიოლოგიის მეცნიერებამ ყველაზე დიდ წარმატებებს ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. ფიზიკის, ქიმიის, ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ისეთი დარგების ჩამოყალიბებას, როგორიც არის მოლეკულური ბიოლოგია, მოლეკულური გენეტიკა, ბიოორგანული ქიმია. ადამიანმა უჯრედშიგა მექანიზმები შეიცნო მოლეკულური ურთიერთქმედების დონეზე. ბიოლოგიის პრაქტიკული პერსპექტივები უალრესად შთამბეჭდავი და მრავალსმეტყველი გახდა.

უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა პერსპექტიული მეცნიერულ-ტექნიკური დარგი — ბიოტექნოლოგია. ტერმინი „ბიოტექნოლოგია“ საუკუნეზე მეტია, რაც მეცნიერულ ლიტერატურაში გვხვდება, მაგრამ მან მხოლოდ ბოლო წლებში შეიძინა ასეთი შინაარსი. თანამედროვე ბიოტექნოლოგია არის ბიოლოგიური ცოდნისა და ტექნოლოგიური გამოცდილების სინთეზის ახალი საფეხური. ბიოტექნოლოგია ვითარდება მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, გენეტიკის, ციტოლოგიის, ბიოორგანული ქიმიის და მოლეკულური ბიოლოგიის შესაყარზე. თუ შეიძლება ასე ითქვას, ბიოტექნოლოგია ტექნოლოგიური ტრიუმვირატის (მექანიკური, ქიმიური, ბიოლოგიური) სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ბიოტექნოლოგია თავის მხრივ, როგორც კომპლექსური მრავალპროფილიანი სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიც არის მიკრობიოლოგიური სინთეზი, გენური ინჟინერია, უჯრედული ინჟინერია, ინჟინერული ფერმენტოლოგია.

ბიოტექნოლოგიის უმთავრესი ამოცანაა ბიოლოგიური პროცესებისა და ფაქტორების გამოყენება სახალხო მეურნეობის მოზნებისათვის. ბიოტექნოლოგიის სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მიზანი ის არის, რომ დამუშავდეს ახალი ტექნოლოგიური პროცესები უმნიშვნელოვანესი ნივთიერებების მისაღებად, დამზადდეს სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კვების მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის ახალი პრეპარატები, ახალი პროდუქტები, შეიბესოს ქვეყნის ენერგეტიკული რესურსები განახლებული წყაროებით, გაჭუჭყიანებისაგან დავიცვათ გარემო.

ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარება განუწყვეტლივ აფართოებს ბიოტექნოლოგიის გამოყენების სფეროს, ხოლო თვით ბიოტექნოლოგია ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა წინაშე.

ჩვენს ქვეყანაში ბიოლოგიის პერსპექტიულ მიმართულებებს ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ორჯერ მიიღეს დადგენილება ბიოლოგიის მოწინავე დარგების განვითარებისა და მათი მიღწევების მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გამოყენების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავა ფუნდამენტური კვლევისა და სამუშაოთა ძირითადი მიმართულებანი ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის მიღწევათა სახალხო მეურნეობაში გამოყენების თაობაზე. ამეამად საბჭოთა კავშირში ამ პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს მეცნიერული კვლევა-ძიება. დამტკიცდა და ხორციელდება კომპლექსური მოზნობრივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამა ბიოტექნოლოგიაში. ბიოტექნოლოგია საბჭოთა კავშირში ვითარდება თანამედროვეობის თვალსაჩინო მეცნიერების აკადემიკოსების ალექსანდრე ბაევის, იური ოვჩინიკოვის, გიორგი სკრიაბინის მეთაურობით.

მიკროორგანიზმთა ცხოველმყოფელობაზე დამყარებული წარმოება ბიოტექნოლოგიის ყველაზე ტრადიციული დარგია. ადამიანი მიკროორგანიზმების ბილოსინთეზური უნარით უხსოვარი დროიდან სარგებლობს, მაგრამ ფართო მასშტაბის სამრეწველო ხასიათი მიკრობიოლოგიურმა წარმოებამ მხოლოდ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მიიღო. ამეამად მსოფლიოში ყველაზე განვითარებული და მოწინავე მიკრობიოლოგიური მრეწველობა საბჭოთა კავშირია.

მიკრობიოლოგიური მრეწველობა სოფლის მეურნეობას აძლევს მიკრობულ ცილას, ცილა-ვიტამინის კონცენტრატს, შეუცვლელ ამინომჟავებს, ვიტამინებს, ფერმენტებს, პრემიქსებს, ანტიბიოტიკებს, მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან დაცვის მიკრობიოლოგიურ საშუალებებს, ბაქტერიულ სასუქებს და სხვა მრავალ პრეპარატსა და პროდუქტს.

ბიოტექნოლოგიის ერთ-ერთი გლობალური პრობლემა ცხოველის საკვებში ცილის დეფიციტის ლიკვიდაციაა. ნავარაუდევია, რომ მსოფლიოს 2000 წლისათვის დაახლოებით 400 მილიონი ტონა ცილა დაეჭირდება და ცილის დანაკლისი ამ დროისათვის 18-20 მილიონ ტონას მიაღწევს. საქონლის საკვები ბალანსირებული უნდა იყოს ყველა კომპონენტის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, კი ცილის მიხედვით. როდესაც საკვებში ცილა არ არის საკმარისი, მაშინ ცხოველებზე 1,5-2-ჯერ მეტი საკვები იხარჯება. ჩვენს ქვეყანაში საკვებ ცილაზე მოთხოვნა ჯერჯერობით მხოლოდ 25-30 პროცენტით კმაყოფილდება. ცილის დანაკლისის ორი მესამედის დაფარვა საბჭოთა კავშირში გათვალისწინებულია მიკრობული ცილით; მცენარეული წარმოშობის ცილებში შეუცვლელი ამინომჟავები ჭარბობენ, მიკროორგანიზმები კი მათ დიდი რაოდენობით აგროვებენ. 1 ტონა საფუარი 5-7 ტონა მარცვლეულს ზოგავს. ეს კი მნიშვნელოვანი დანაზოგია, თუ გავიხსენებთ, რომ ჩვენში მარცვლეულის მთელი მოსავლის ნახევარზე მეტი მეცხოველეობას და მეფრინველეობას ხმარდება.

ამიტომ, ბუნებრივია, მიკრობული ცილის სინთეზს ყველა ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა. მკვლევართა ძირითადი მიზანია შეარჩიონ როგორც ყველაზე ხელსაყრელი მიკროორგანიზმი, ისე ყველაზე ეკონომიურად მისაღები საკვები. ჩვენში ამ მიზნით გამოიცადა ბაქტერიები, საფუვრები, აქტინომიცეტები და სხვა. მათ საკვებად გამოიყენეს მცენარეული ნარჩენების ჰიდროლიზატები, ნავთობის ნახშირწყალბადები (ნ-პარაფინები), ბუნებრივი გაზი, მეთილის და ეთილის სპირტები და სხვა. დადგინდა, რომ დიდად პერსპექტიულია ბუნებრივი გაზიდან მიკრობული ბიომასის მიღება, რომელიც 70 პროცენტზე მეტ ნედლ ცილას შეიცავს. მეორე პერსპექტიულ ნედლეულად მეთილის და ეთილის სპირტები უნდა ვივარაუდოთ. მეთილის სპირტი შეიძლება სრულიად სხვადასხვა წყაროდან მიეღოთ. დამუშავებულია მეთანოლზე ცილის ბიოსინთეზის რამდენიმე ვარიანტი, რისთვისაც გამოყენებულია როგორც ბაქტერიები, ისე საფუვრები. ასევე გათვალისწინებულია იმ პროდუქტებისა და პრეპარატების მიკრობული წარმოების გაზრდა, რომლებიც ესაჭიროება მსუბუქსა და ქვების მრეწველობას, სამედიცინო, ქიმიურ და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს.

ამეამად მიკრობული მრეწველობის უმთავრესი ზოგადი ამოცანებია ნედლეული ბაზის გაფართოება და ახალი ტექნოლოგიური პროცესების საწარმოო მასშტაბით ათვისება. საბჭოთა კავშირის მიკრობიოლოგიური მრეწველობა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობს 18 პერსპექტიული კომპლექსური მიზნობრივი პროგრამის დამუშავებაში.

ცოცხალი უჯრედი, როგორც ცნობილია, უსაზღვრო უპირატესობის მქონეა ნებისმიერ ქარხანაზე. ცოცხალი უჯრედის საიდუმლოებათა გამიზნული გამოყენება ადამიანს მრავალგვარ საშუალებას აძლევს სხვადასხვა გლობალური პრობლემის გადასაწყვეტად. ერთ-ერთი ასეთი პერსპექტიული საკითხია მომავლის ენერგეტიკა და ბიოტექნოლოგიის ამოცანები.

საბჭოთა მეცნიერების აზრით, კაცობრიობას ენერგეტიკული შიმშილი არ ემუქრება, მაგრამ უახლოეს 50-60 წელიწადში მსოფლიოს ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურა, უეჭველად, შეიცვლება. უკვე თანდათან მცირდება წიაღისეული ორგანული საბობის როლი და იზრდება ისეთი ენერგეტიკა, რომლის საფუძველია ბირთვული და თერმობირთვული ენერგია, მზის რადიაცია, დედამიწის სითბო და ა. შ.

ენერგეტიკული ბალანსის მომავალ სტრუქტურაში, როგორც ჩანს, სათანადო ადგილს დაიკავებს ბიოტექნოლოგია. მზის რადიაციის აკუმულირება და ბიოლოგიური სისტემების მიერ მისი გარდაქმნა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. ამ საიდუმლოებათა სრულ გახსნას და გამოვლენილ კანონზომიერებათა რიგიანად გამოყენებას შეუძლია კაცობრიობა მომამარაგოს ისეთი იდეალური სახეობის საბობით, როგორიც წყალბადია. ამიტომ ბოლო დროს დიდ ყურადღებას იქცევს ფოტოსინთეზებელი მიკროორგანიზმები და უუჯრედო ფერმენტული სისტემები, რომელთაც შეუძლიათ წყლის დაშლა ჩვეულებრივ პირობებში წყალბადად და ჟანგბადად. ამ გზების თეორიული საფუძვლები კარგად არის ცნობილი. ახლა ბიოტექნოლოგთა ოცნებაა განხორციელდეს რომელიმე მათგანი საწარმოო მასშტაბით. ეს იქნებოდა უდიდესი გარდატეხა მსოფლიოს ენერგორესურსების პრობლემაში. ამით კაცობრიობა მიიღებდა საკმარისსა და იაფ საბობს, რომლის წვის სითბო გაცილებით მაღალია (34,2 კკალ/გ), ვიდრე სხვა სახეობათა საბობებისა. გარდა ამისა ასეთი საბობი გარემოს არ გაჭუჭყიანებს.

წყალბადის წარმოება შესაძლებელია აგრეთვე თერმოქიმიური და ელექტროლიზური გზებითაც, მაგრამ ამ საშუალებებით მიღებული წყალბადი ძვირი ჯდება, რაც ზღუდავს ახალი საწვავის პრაქტიკულ გამოყენებას.

წყალბადის ბიოლოგიური წესით მისაღებად საინტერესო და მრავლისიმომქმედი გამოკვლევები მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში, იაპონიაში, შვეიცარიაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში. იაპონიაში გამოყოფილია ისეთი წყალმცენარის შტამი, რომელიც წყალს შლის წყალბადად და ჟანგბადად და, რაც მთავარია, იგი მსგავსი მიკროორგანიზმებიდან იმით განსხვავდება, რომ გამძლეა ჰაერისა და ჟანგბადის მიმართ. ინგლისში გამოიყენეს უმაღლესი მცენარეების ქლოროპლასტები სათანადო ფერმენტებთან ერთად. იაპონიაში წყალბადის წარმოქმნის უნარი 130-ზე მეტ ფოტოსინთეზებელ მიკროორგანიზმს აღმოაჩნდა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ იდეალური საწვავის — წყალბადის მოპოვებაში დიდ როლს შეასრულებს ბიოტექნოლოგია.

მიკროორგანიზმები უკვე ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ისეთი საბობების მიღების ტექნოლოგიაში, როგორიც საბობი ეთანოლი, ბიოგაზი, თხევადი ნახშირწყალბადები და ბირთვული საბობია.

მიკროორგანიზმები მონაწილეობენ ურანის წარმოებაშიც. ბაქტერიების საშუალებით ხდება ურანის გამოწვლილვა ღარიბი მადნებიდან, მადნების ნარჩენებიდან, ჩამდინარე წყლებიდან. იაპონიაში ცდილობენ, ამოიღონ ურანი ზღვის წყლიდან მიკრობული ბიომასის საშუალებით. მიკრობულ ბიომასაზე ხდება ურანის ადსორბცია. ამერიკის შეერთებულ შტატებში ურანი გამოაქვთ მიკრობული ბიომასის საშუალებით ატომური ელექტროსადგურების ნარჩენებიდან. როგორც ჩანს, მიკროორგანიზმთა მონაწილეობა ენერგეტიკის პრობლემის გადაწყვეტაში მრავალგვარად შეიძლება.

ბიოტექნოლოგიის ჰორიზონტები კიდევ უფრო მეტად გააფართოვა გენურმა ინჟინერიამ, როგორიც ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის ღვიძლი შვილია. ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ ახალ მიმართულებასაც.

თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მიღწევა, როგორც ცნობილია, მემკვიდრეული ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მექანიზმის შესწავლაა.

გაიმფირა რა მემკვიდრეობის კანონზომიერებები, დაიბადა ახალი იდეა ცოცხალი უჯრედის რეკონსტრუქციის შესახებ. მკვლევარებმა მოისურვეს შეექმნათ ისეთი ბიოლოგიური ბაქტერიები, რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ, არადა, რომ იყოს, ადამიანს ძალზე გამადგებოდა. ამგვარად ჩაისახა ეგრეთწოდებული გენური ინჟინერია, მეცნიერულ-ტექნიკური მიმართულება, რომლის მთავარი მიზანია წინასწარდასახული გეზის

შემოქმედების მწვერვალი

კოტე მარჯანიშვილი! რარიგ ძვირფასია ის ჩემთვის დღესაც. იგი იყო შუა ტანის, მაგრამ გოლიათური ღონისა, პატარა ხელები ჰქონდა, მაგრამ ამ ხელებით თვალუწვდენელ ზღაპრულ კოშკებს აგებდა. იმ კოშკებში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც საოცარი ენებებით იწვოდნენ. მათ იცოდნენ ბრძოლა, ტანჯვა, და ვაქაკაურად დაღუპვაც. მაგრამ იმ ადამიანთა შორის მარჯანიშვილს ყველაზე მეტად უყვარდა ისინი, ვინც შესტრფოდა სიცოცხლეს. მათ რთავდა ნაირ-ნაირი ფერებით, ატკბობდა წარმტაცი მუსიკით, მათთვის არ იშურებდა ალერსსა და სიყვარულს. მარჯანიშვილი ცხოვრობდა შემოქმედების ისეთ მწვერვალზე, რომლის მიღწევა ყველას არ ძალუძს. უდიდესი რამ, რაც მან თავის ცხოვრებაში გააკეთა, ის იყო, რომ მშობლიური თეატრი გარდაქმნა და ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომელზეც ქართული თეატრი, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, არასოდეს არ ასულა. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა ფრთას ასხამდა მის შთაგონებას, ძალას მატებდა. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი თეატრი, რომელიც წარმოიშვა როგორც აუცილებლობა საქართველოს მღელვარე ცხოვრების წიაღში.

ახალი ცხოვრება არ იძლეოდა შეღავათს, იგი დაეინებით მოითხოვდა თანამედროეობის ცხოველმყოფელ საკითხებზე დაუყოვნებლივ გამოხმაურებას. და აი, თითქოს მოთხოვნის პასუხად, მარჯანიშვილის ირგვლივ იკრიბებოდა ყველა ის, ვინც თავისი შემოქმედებითი აზროვნებითა და ნიჭით უნდა ჩამდგარიყო ხელოვნების თავდავიწყებულ სამსახურში. აზრების, გრძნობების ასეთი შერწყმა, სხვადასხვა თაობის მსახიობთა ასეთი ერთიანობა ქართული თეატრისათვის აქამდე უცნობი იყო. პირველად აყალიბდა მთლიანი სპექტაკლი, სადაც აქტიორული ანსამბლი, დეკორაცია, მუსიკა, განათება — ყველფერი დამორჩილებული იყო ერთიან ნებას, ერთ აზრს, რომელიც ნაწარმოების იდეას ხსნიდა. მარჯანიშვილმა თეატრში შემოიტანა ახალი შინაარსი, ჩვენი სცენა სადღესასწაულოდ მოირთო, აივსო მუსიკის ხმებით, ათამაშდა ათასგვარი ფერებით. ყოველმა წვრილმანმა შეიძინა დიდი მნიშვნელობა, ცხოველმყოფელობა, სიცოცხლე დამკვიდრდა ქართულ თეატრში.

ძველი ქართული თეატრის შესანშნავ მსახიობთა მიერ შექმნილი ტრადიციები და რუსული სცენის გამოცდილება — აი საფუძველი, რომელზეც შენდებოდა ახალი თეატრი. ჩვენი ხალხი ახალი თეატრის დაბადებას აღფრთოვანებული ენთუზიაზმით შეხვდა. თეატრის ირგვლივ შემოიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, — დიდად კულტურული, ღრმად მოაზროვნე ადამიანები. თითქოს მთელი ხალხი ჩაება ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში. მარჯანიშვილის ყოველ სპექტაკლზე მოდიოდნენ როგორც დღესასწაულზე. მისი წარმოდგენები მუდამ თეატრის ზეიმი იყო. იგი არასოდეს არ ქმაყოფილდებოდა — იმდენი მზიარულება, სიმსუბუქე, უფაქიზესი იუმორი გამოსჭვიოდა. მას უსასრულო, ზღვა ფანტაზია ჰქონდა.

მაღალ თეატრალურ ოსტატობას მარჯანიშვილი აღწევდა დიდი, დაუღალავი შრომით, მას უყვარდა შრომა არა პატივმოყვარეობისათვის, არა გამდიდრებისათვის, შრომა იყო მისთვის სიხარული, აუცილებლობა, სულიერი მოთხოვნილება, მისი ენებისა და ტემპერამენტის დაკმაყოფილება, მისი სიცოცხლე! არ მოისვენებდა, ვიდრე მისი ჩანაფიქრი მაქსიმალურ გამოსახვას არ იპოვიდა. იმას, რასაც იგი რთულად აღწევდა თავის წარმოდგენებში, მაყურებელი უშეალოდ და იოლად აღიქვამდა, ეს იყო მარჯანიშვილის ხელოვნების დიდი გამარჯვება.

კოტე მარჯანიშვილი დაუზოგავად ხარჯავდა თავის წარტაც ნიჭს, რადგან მისი შთაგონების წყაროო უშრეტი იყო. ვინც მასთან ახლოს ვიყავით, ვხედავდით, თუ რა დიდ სულიერ და ფიზიკურ ძალას ხარჯავდა იგი, თუ რა ძვირად უჯდებოდა ყოველი დღე თეატრში. უძილო ღამეები, დაუსრულებელი კამათი, ზოგი აღტაცებით ხვდებოდა მარჯანიშვილის ნოვატორობას, ზოგი კატეგორიულად უარყოფდა მას — მარჯანიშვილმა ხომ ყველა სპექტაკლის ძველი ფორმა დაარღვია! ქართულ თეატრში მარჯანიშვილის მოღვაწეობა დაუსრულებელი მღელვარების, დაძაბულობის წლები იყო, ეს იყო აღმაფრენის და ტკივილის, უზარმაზარი წარმატებისა და გარდაუვალი შეცდომების წლები. მაგრამ სცენიდან ყოველთვის გაისმოდა მთაგონებული მოწოდება რწმენისა, იმედისა, ადამიანის დიდებისა.

ვერიკო ანჯაფარიძე.

კომუნისტი
სპეციალური ბიბლიოთეკა
საკვირაო

ყაბალი

ჭადრაკის ამბები

ბრძოლდება ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მეოთხედფინალური მატჩები. **ფელდენში (ავსტრია)** გაიმართა ვასილ სმისლოვისა (სსრ კავშირი) და რობერტ ჰოუბნერის (გფრ) მეთორმეტე პარტია. ეს შეხვედრა გადაიდო. ჯერჯერობით ანგარიშია 5,5:5,5. **ალიანტეში (ესპანეთი)** ნანა ალექსანდრიასა (სსრ კავშირი) და ტიანა ლემაჩკოს (შვეიცარია) გადადებული მეხუთე პარტია დასრულდა ყაიმით. ანგარიშია 3,5: 1,5 ალექსანდრიას სასარგებლოდ. **მოსკოვში** მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) გაიმართა 9 ტურის შემდეგ გამოტოვებული და გადადებული პარტიების დამთავრება. ბელიავსკიმ დაამარცხა ლერერი, ფსახისმა — მალანიუკი, კარპოვმა — რომანიშინი, დაზვდნენ აგზამოვ-რაზუვაევი, აზმაიფარაშვილი-ტუკმაკოვი, მალანიუკ-რომანიშინი, ვაპანიან-პეტროსიანი. ლიდერობს ფსახისი — 5,5 ქულა (9 შესაძლებლიდან). ბელიავსკის, კარპოვს, პოლუგაევსკის და ტუკმაკოვს 5-5 ქულა აქვთ (8-8 შესაძლებლიდან). შეჯიბრებას ავადმყოფობის გამო გამოეთიშა ტალი და მისი შედეგები გაუქმდა.

იაროსლავლში გრძელდება ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი საკავშირო შეჯიბრება. ამ ტურნირში მოასპარეზე თბილისელმა გია გიორგაძემ მეხუთე ტურში დაამარცხა ვ. ეპიშინი, მეექვსეში კი მისი პარტია გადაიდო. 3,5-3,5 ქულით და თითო გადადებული პარტიით ლიდეროობენ ნაუმკინი და ოლი. ნადირხანოვს და რუბანს 3-3 ქულა აქვთ (თითო გადადებული), ბარეევს და ეპიშინს — 3-3, სალოვს — 2,5 (2), გოლდინს — 2,5 (1), დაუტოვს — 2,5, გიორგაძეს — 2 (2), დრეევს და ზაგრებელნის — 2 (თითო გადადებული), კულინსკის — 1,5 (2), მინასიანს — 1 (1).

თბილისში დაიწყო „დინამოს“ X საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც ამ სპორტსაზოგადოების საიუბილეო თარიღს, დაარსების 60 წლისთავს ეძღვნება. საქართველოს გუნდში გამოდიან დიდოსტატი გუფელდი, საერთაშორისო ოსტატები ზაიჩიკი და უბილავა, ქალთა დაფაზე — ოსტატობის კანდიდატი არაბამია. პირველ ტურში ჩვენი ნაკრები შეხვდა უზბეკეთის ძლიერ გუნდს. უბილავამ თანამიმდევრულად წარმართა მთელი შეხვედრა და სძლია ოსტატ ვ. აგზამოვს (უმაღლესი ლიგის მონაწილე საერთაშორისო ოსტატ გ. აგზამოვის ძმას). არახამიამ დაამარცხა ოსტატი ჰასანოვა, ხოლო ზაიჩიკი ყაიმზე შეუთანხმდა ოსტატ ეგინს. გუფელდის პარტია პირველ დაფაზე მოგვიანებით გაიმართება, რადგან ჩვენი მოჭადრაკე ჯერ არ დაბრუნებულა გფრ-დან, სადაც იგი, როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან ერთად დორტმუნდის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ამრიგად, ჯერჯერობით ანგარიშია 2,5:0,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

23 და 24 აპრილს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა მორიგი მეცადინეობა. **23 აპრილს** ლექციებს წაიკითხავენ: **ჟურნალისტიკა** **გიორგი მახარაძე** — „ლენინი და ჭადრაკი“ (ჭადრაკი — მისი გატაცება და თანამგზავრი), საერთაშორისო დიდოსტატი **ალექსი სუეტინი** — „თანრიგოსანი მოჭადრაკეების მომზადებისა და სრულყოფის მეთოდიკა“, საერთაშორისო ოსტატი **ელიზბარ უბილავა** — „ლაზიერის გამბიტი“. დასაწყისი — 16 საათზე; **24 აპრილს** გაიმართება სემინარი თემაზე: „შეჯიბრების ორგანიზაცია და მსაჯობა ჭადრაკში“. დასაწყისი — 11 საათზე; ამავე დღეს 13 საათზე დაიწყება საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებისათვის.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი, მეხუთე ტურის მატჩები. თბილისის „დინამომ“ მიიღო დონეცკის „შახტიორი“, ქუთაისის „ტორპედომ“ — მინსკის „დინამო“. თბილისელებმა შეხვედრა წააგეს ანგარიშით 2:3, ხოლო ქუთაისელებმა მინსკელებთან ფრედ დაამთავრეს მატჩი — 1:1.

რგბი. გაიმართა ევროპის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული ორი კალენდარული მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: რუმინეთი-იტალია — 13:6, საფრანგეთი-მარკო — 16:9.

კლასიკური ჭიდაობა. 22-24 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართება ევროპის ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში სხვა ათლეტებთან ერთად იასპარეზებს ქუთაისელი მოჭიდავე თეიმურაზ აფხაზავა. იგი ძალებს ცდის 82 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. გ. ლ. ქობლიანიძე გაათავისუფლა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან პირადი თხოვნის თანახმად. (საქინფორმი).

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაჭუბეგია.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის

ახალი აღმოჩენები დონის მონასტერში

დღეს დონის მონასტერში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი ნაპოვნები ახალ შუქს ჰფენენ მოსკოვში მცხოვრებ გამოჩენილ ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის ისტორიას.

რუსტავრატორთა ბრიგადირმა აარნე ვაიტმაამ ლითონის კავი გამოსდო ლინოლეუმის კიდეს და გახსნა იატაკის საფარი დონის მონასტრის მირქმის ეკლესიაში. ამ მოშენტმა, რომელიც აღებეჭდეს საქართველოს ტელევიზიისა და საქართველოს საინფორმაციო საგენტოს ტელე და ფოტოკამერებმა ჩვენი რესპუბლიკისა და მოსკოვის სამეცნიერო საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა თანდასწრებით, დასაბამი მისცა არქიტექტურულ-სარესტავრაციო საშუშაოების დაწყებას საქართველოს XVIII-XIX საუკუნეების ისტორიისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა აკლდამაში. ამ სამუშაოთა გეგმით, რომლებიც დასახულია გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულობასთან დაკავშირებით, ნავარაუდევია იატაკისა და საფლავის ქვების განახლება, მემორიალური დაფის დაყენება. ამის გამო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპედიცია აქ აწარმოებს კომპლექსურ ძიებას. ბირქმის ეკლესიას, სადაც ეს ძიება მიმდინარეობს, ლიტერატურაში არჩილის ეკლესიასაც უწოდებენ — იგი აამენა არჩილ მეორემ, გადააკეთეს და განაახლეს მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა და დონის მონასტრის წინამძღვარმა ლავრენტიმ. 1711 წლის 27 მარტს არჩილმა აქ დაასაფლავა თავისი შვილის ალექსანდრეს, პეტრე პირველის მეგობრისა და თანამებრძოლის, რუსული არმიის გენერალ-ფელდცეიმაისტრის ნეშტი და დასაბამი მისცა ქართულ პანთეონს დონის მონასტერში.

სამუშაოები დაიწყო 14 აპრილს, და უკვე მეორე დღეს, 11 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით, მირქმის ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხეში კირის ბათქაშის ოთხი ფენის ქვეშ აღმოაჩინეს ბრინჯაოს საფლავის ფილა.

ამ ღმედისმმცემმა აღმოჩენამ მოითხოვა განმარტება, რისთვისაც თქვენმა კორესპონდენტმა მიმართა სპეციალისტებს.

— წარწერა ფილაზე ეძღვნება ვასილ ეგორის ძეს (ვახტანგ გიორგის ძეს), გიორგი ვახტანგის ძის შვილსა და ვახტანგ მეექვსის შვილიშვილს, — თქვა პალეოგრაფმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ვალერი სილაგავამ. — ეს საფლავის ფილა დაკარგულად ითვლებოდა და მისი აღმოჩენა მოწმობს დაწყებულ სამუშაოთა პერსპექტიულობას.

იმათთვის, ვისთვისაც საკითხის ისტორია ცნობილი არ არის, განმარტებას იძლევა დონის მონასტრის ნეკროპოლის — შჩუსევის სახელობის არქიტექტურის სამეცნიერო-კვლევითი მუზეუმის ფილიალის განყოფილების გამგე არკადი ნიკოლოზის ძე ლუპოლი:

— დონის მონასტრის დიდი ტაძრის მირქმის ეკლესიაში ქართველთა აკლდამების ადგილმდებარეობის შესახებ ვიცით ს. პავლოვის ფოტოსურათების მიხედვით, რომლებიც მან 1912 წელს გადაიღო და დაბეჭდილია ბორის ესაძისა და ვლადიმერ ტატიშვილის წიგნებში. გარდა ამისა, არსებობს ლებედევის 1929 წლის ფოტოსურათები — მათზე უკვე აღინიშნება ცვლილებანი სამარხებისა და სარკოფაგების მდებარეობაში. უნდა მოგაგონოთ, რომ ამ დროს დონის მონასტერში, ისევე როგორც სხვა ტაძრებში, რომლებიც მაშინ მხოლოდ რელიგიური კულტების ცენტრებად ითვლებოდა, მოშალეს კანკელები, სარკოფაგები და სხვ. იგივე ბედი ეწიათ დონის მონასტრის მთელ რიგ საფლავის ქვებსაც. მაგრამ ახლა სრული რწმენით შეგვიძლია დავადასტუროთ: ყველა სამარხი შემონახულია და აღგილმდებარეობაც ზუსტად არის განსაზღვრული.

—რა უდევს საფუძვლად თქვენს რწმენას?

— ჩვენი შესრულებული გამოკვლევები. ჩვენ ხელთ გვქონდა ცნობილი წყაროები — ი. ზაბეკინის „მოსკოვის სტავროპიგიალური დონის მონასტრის ისტორიული აღწერა“, ამ ნაშრომის ის განყოფილება, სადაც აღნიშნულია ყველა სამარხი 1750 წლამდე, წიგნი „მოსკოვის ნეკროპოლი“, 1793 წელს გამოშვებული „მოსკოვის სიძველეებისა და ღირსშესანიშნაობებ ი ს გზამკვლევი“, სადაც ჩამოთვლილია ქართული სამარხები, მათ შორის ვახუშტი ბაგრატიონის საფლავიც. გარდა ამისა, ლენინგრადში, ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში აღმოვაჩინეთ მანამდე უცნობი დოკუმენტი— „მირქმის ეკლესიაში მდებარე ძეგლების აღწერა, რომლებიც განლაგებულია ტაძრის ეკლესიის კარიბჭისა და საკურთხევლის ქვეშ“, იგი მოიცავს გასული საუკუნის ორმოციან წლებამდე გაკეთებულ ყველა სამარხს.

— ვის საფლავებზეა ლაპარაკი?

— არჩილ მეორის, მისი მეუღლის ქეთევანის, ალექსანდრე ბატონიშვილის, მამუკა და დავით არჩილის ძეების, დარეჯან არჩილის ასულის, ბაქარ და გიორგი ვახტანგის ძეების, მათი დედის რუსუდანის საფლავებზე... ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ვახუშტის სამარხსაც მივაგნებთ.

— აქ, ჩემი ძიების თანახმად, განლაგებულია ცხრამეტი სამარხი, რომლებიც თანაბრად ძვირფასია როგორც ქართველების, ისე რუსებისთვისაც... ზოგიერთი მათგანი თქვენს თვალწინაა, დანარჩენებს, ისეთებს, როგორიც ეს-ეს არის აღმოჩენილი საფლავის ფილაა, მივაგნებთ...

საუბარში ებმება საქართველოს არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ღამბაშიძე:

— სამარხების განსაზღვრისა და იდენტიფიკაციისათვის მოგვიხდება მეტისმეტად გულმოდგინე, მასშტაბური, მე ვიტყოდი, უაღრესად სარუდენო მუშაობა. ჩვენ მიერ შესრულებული გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს, რა თქმა უნდა, ვივარაუდოთ, რომ აქ შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ვახუშტი ბაგრატიონისა და არჩილ მეორის საფლავები. არკადი ნიკოლოზის ძის მიერ დასახელებული წყაროების გარდა, გვაქვს ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ლეონიძის, სხვა ავტორების მიერ დატოვებული ცნობები. მზად ვართ შევასრულოთ მირქმის ეკლესიაში ყველა საჭირო არქეოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ კულტურულ-ისტორიულ ასპექტებს...

ინტერვიუს იძლევა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორი თეიმურაზ ბადურაშვილი:

— ექსპოზიციის შესაძლებლობა მიეცა ეს სამუშაოები ჩაეტარებინა მოსკოვის არქიტექტურის ძეგლთა დაცვისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო ინსპექციის, მისი უფროსის ა. ლ. სავინის ხელშეწყობით. ჩვენთან ერთად მუშაობენ და ამ უდიდესი საქმის ყველა სიძნელესა და სიხარულს იზიარებენ შჩუსევის სახელობის არქიტექტურის მუზეუმის თანამშრომლები მისი ფილიალის დირექტორის ს. ვ. გერასიკინის მეთაურობით.

სანამ თქვენი კორესპონდენტი ესაუბრებოდა ექსპედიციის წევრებს, რესტავრატორებმა აღმოაჩინეს საროფაგის თეთრი ქვის საძირკველი... ვისია იგი? ცოტა დავიცადოთ...

შევწყვიტე რა ამაზე ჩემი ცნობა, წავედი საკდესში, რომ მასალა თბილისში გადმომეცა. ამასობაში კი მირქმის ეკლესიაში სხვა სამარხებიც აღმოაჩინეს. ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის ცენტრში იპოვეს ორი ძალიან დიდი შავი ქვის ფილა, რომელზეც წარწერილია ეკატერინე და სერგი მენშიკოვების ეპიტაფიები. როგორც მოსკოვში მცხოვრებმა მწერალმა ბორის ანდრონიკაშვილმა ამბისნა, ისინი ბაგრატიონებს ენათესავებოდნენ. კერძოდ, დარია, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მენშიკოვის, მირქმის ეკლესიაში დაკრძალული სერგი მენშიკოვის ძმის ასული, ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ბაქარის ძეს, ვახტანგ მეექვსის შვილიშვილს.

15 აპრილს ნაშუადღევს იპოვეს პატარა ფილა, რომლის წარწერაშიც მოხსენებულია გიორგი, მარიამ ლევანის ასულ ბაგრატიონის შვილი.

დონის მონასტრის დიდი ტაძრის მირქმის ეკლესიაში სამუშაოები გრძელდება.

თ. მამალაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.

სურათებზე: მოსკოვის დონის მონასტერი; დაიწყო დონის მონასტრის მირქმის ეკლესიის აკლდამის არქიტექტურულ-სარესტავრაციო სამუშაოები.

საქინფორმის სპეც. ფოტოკორესპონდენტის **ა. რუხაძის** ტელეფოტო.

სამშობლოზე ფიქრით გულანთებული

ელენე ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავის გამო

ქართველი ხალხი სიყვარულით აღნიშნავს გამოჩენილი მხატვრისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ელენე ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავს. იგი იყო საოცრად კოლორიტული პიროვნება, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულგამთბარი მოქალაქე და მრავალფეროვანი ინტერესების მქონე, ემოციური და მიზანსწრაფული მხატვარი. მისი მსოფლშეგრძნების თავისებურება და პოეტურობა გამოვლინდა ფერწერაში, გრაფიკასა და თეატრალურ-დეკორაციულ მხატვრობაში.

ელენე ახვლედიანი დაიბადა თელავში. ამ ქალაქსა და მის მიდამოებში გაატარა ბავშვობის წლები და ცხოვრებაში სამუდამოდ გაჰყვა თელავისა და, საერთოდ კახეთის, ბუნებისადმი განსაკუთრებული სიყვარული. თავისი შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში იგი არაერთგზის უბრუნდებოდა კახეთის სანახებს, ალაზნის ველსა და თელავის ცხოველხატულ კუთხეებს.

ხატვა ე. ახვლედიანმა ძალიან ადრე დაიწყო. 1919 წელს ქართველ მხატვართა გამოფენაზე პირველად გაგზავნა თავისი ნამუშევრები. 1922 წელს კი იგი თბილისს სამხატვრო აკადემიაში შევიდა და იმავე წელს აკადემიის სტიპენდიატად მიავლინეს საზღვარგარეთ — იტალიასა და საფრანგეთში. 1924 წელს ახალგაზრდა მხატვარი პარიზში ჩავიდა. პარიზის ინტენსიური მხატვრული ცხოვრება, მუზეუმებში ძველი ოსტატების ნამუშევრების შესწავლა, თანამედროვე მხატვართა გამოფენები საეკეთესო სკოლად იქცა ახალგაზრდა მხატვრისათვის. პარიზში გატარებული წლები დაძაბული შრომის წლები იყო. საინტერესოა, რომ სწორედ ამ შთაბეჭდილებებით მდიდარ ატმოსფეროში მკაფიოდ ჩამოყალიბდა ელენე ახლედიანის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, გამოვლინდა პეიზაჟური ფერწერისადმი მისი მიდრეკილება.

პარიზის სილამაზით მოხიბლული ხელოვანი ხატავს ქალაქის პეიზაჟებს. მას იზიდავს დიდი ქალაქის გარეუბნები, მუშათა უბნები, ეიფლის კუჭები, მანსარდებიანი მაღალი სახლები. მაგრამ პარიზშიც ელენე ახვლედიანი ისევ და ისევ ხატავს საქართველოსა და ძველი თბილისის პეიზაჟებს. სწორედ ქართული პეიზაჟები გაგზავნა მან „დამოუკიდებელთა“ გამოფენაზე და შემოდგომის სალონში. იქვე აწყობს იგი პერსონალურ გამოფენასაც, რომელმაც მრავალი მაყურებელი მიიზიდა და კრიტიკოსთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1927 წელს ე. ახვლედიანი საქართველოში დაბრუნდა და თავისი ნამუშევრები ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ თელავსა და ქუთაისში გამოფინა. ამ ექსპოზიციებს დიდი წარმატება ხვდა და ელენე ახვლედიანი წამყვანი მხატვრების რიგში ჩადგა. ამ დროიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი საქართველოს მხატვრული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იყო. თავისი სახელოსნო, რომელიც ამჟამად სახლ-მუზეუმს წარმოადგენს, მხატვარმა კულტურის კერად აქცია. ელენე ახვლედიანი იზიდავდა არა მარტო მხატვრებს, არამედ მეცნიერებს, მუსიკოსებს, მსახიობებსა და მწერლებს. აქ ეწყობოდა გამოფენები და კონცერტები.

თეატრში ე. ახვლედიანის მოღვაწეობის დაწყება, მისი თაობის სხვა ქართველ მხატვართა მსგავსად, კოტე მარჯანიშვილის სახელთან არის დაკავშირებული. გამოჩენილმა რეჟისორმა იგი 1928 წელს მიიწვია თავის თეატრში და იმ დროიდან ჩაეყარა საფუძველი მუშაობას, რომელიც მისი მოღვაწეობის ერთ-ერთ არსებით მხარედ გვევლინება. მას ეკუთვნის ოთხმოცამდე სპექტაკლის მხატვრული გაფორმება თბილისისა და საქართველოს ქალაქების, ასევე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ხარკოვის თეატრებში. ახვლედიანისეულ დეკორაციებსა და კოსტიუმების ესკიზებში გამოძღვანდა მაღალი მხატვრული და მუსიკალური კულტურა, ეპოქისა და სპექტაკლის სტილის გრძნობა, თეატრალურობა.

ელენე ახვლედიანი ბევრს მუშაობდა წიგნის გრაფიკის დარგში, განსაკუთრებით 30-იან წლებში, როცა იგი სახელგამთან არსებული საბავშვო ლიტერატურის სექტორის მთავარი მხატვარი იყო. ამ დროს საბავშვო წიგნის გრაფიკაში სულ რამდენიმე მხატვარი მუშაობდა. ელენე ახვლედიანი ქართული საბჭოთა საბავშვო წიგნის ერთ-ერთი პირველი ილუსტრატორი იყო. მას იზიდავდა ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა წიგნების დასურათება. ელენე ახვლედიანის ილუსტრაციები მხატვრის მდიდარ ფანტაზიაზე მეტყველებს და ისტორიული მასალების საფუძვლიან ცოდნას მოწმობს. მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეები გამომსახველი და დამაჯერებელია, ხოლო საილუსტრაციოდ ამორჩეული ეპიზოდები და ზოგიერთი დეტალის საგანგებოდ ხაზგასმა თითქმის ყოველთვის ცხადდოფს მოცემული ლიტერატურული ნაწარმოებისადმი მხატვრის სათუთ დამოკიდებულებას.

ე. ახვლედიანის მრავალფეროვან შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი პეიზაჟურ მხატვრობას უკავია. იგი თავისი მოწოდებით პეიზაჟისტია. ბუნების სიყვარულით იყო განპირობებული მისი ცხოვრება და შემოქმედება. ქართული პეიზაჟის ხატვით დაიწყო ხელოვანის შემოქმედებითი გზა და მთელ მის ცხოვრებას გასდევს ბუნების ულიცესი სურათები, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ მხატვრის ბიოგრაფიას, მის განცდებსა და გრძნობებს. მისი მხატვრული სახეების ძირითადი წყაროო საქართველოს ბუნების უსაზღვრო მრავალფეროვნებაა: ხეობათა მკაცრი სილამაზე, ცადაზიდული მთები, რომელთა კალთებზე სოფლები შეფენილა, ძველი ციხესიმაგრეები და ხუროთმოძღვრების სხვა ძეგლები, ჰარმონიულად რომ ერწყმიან ჩვენს ბუნებას, მხატვრისთვის უმთავრეს თემად იქცა. რელიეფისა და ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა თავისებურების გამოვლენით იგი ქმნიდა ქალაქების პოეტური განწყობილებით აღსავსე მხატვრულ სახეებს. მრავალფეროვნებით გამოირჩევა თბილისის პეიზაჟები, რომელსაც მხატვარმა ნამუშევრების მთელი სერიები მიუძღვნა: „ძველი თბილისი“, „ზამთარი თბილისში“, „ახალი თბილისი“ და სხვ.

ელენე ახვლედიანი სურათებს ქმნიდა იმის მიხედვით, თუ რა ამოცანას ისახავდა, რა განწყობილების გადმოცემა ეწადა, ხატავდა ძველი თბილისის ცალკეულ კუთხეებს, უბნებს, კონკრეტულ ქუჩას, შუკას, რომელიმე სახლს ან შიდა ეზოს. მისი სურათების ხილვისას მაყურებლის წინაშე წარმოდგება ქალაქის სახე, ძალიან ნაცნობი, მაგრამ მხატვრის პოეტური ხედვით გარდასახული. მის საუკეთესო სურათებში თბილისი ახალ სიცოცხლეს იძენს.

ხშირად მხატვარი თავისი სურათებისთვის ბუნების სხვადასხვა მდგომარეობის მოტივებს ირჩევდა: ქარიანი დღე, ნისლიანი დღე, განთიადი თბილისში, უკანასკნელი სხივი და სხვა. განსაკუთრებით კი იზიდავდა ზამთრის პეიზაჟები. ამ თემისადმია მიძღვნილი ნამუშევრების მთელი სერიები: ზამთარი კახეთში, რაჭაში, თელავში, სიღნაღში და, ისევ თბილისში. თოვლით დაფარული დიდი სიბრტყეებისა და ფერით აქცენტირებული არქიტექტურის დაპირისპირება ამ პეიზაჟებს თვისებურ დეკორატიულ გამომხატველობას ანიჭებს.

ელენე ახვლედიანი ქართული საბჭოთა პეიზაჟური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. ხელოვანის მიერ დროთა მანძილზე შესრულებული სურათები ქართული ფერწერის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისი სურათების კოლორიტული გამა, დაბინდულ ფერებს ცვლიდა კაშკაშა ფერთა შეხამება, იცვლებოდა სურათის კომპოზიციის აგებისადმი მიდგომა, პეიზაჟის სივრცის აგების ხერხები, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მხატვრის მღელვარე დამოკიდებულება სამყაროსადმი და მაყურებლიც მის სურათებში არა მარტო ბუნების სურათებს, არამედ მხატვრის მიმართულს ხედავს, მკაფიოდ გრძნობს მხატვრის ტემპერამენტს, მის მოუსვენარ, დაუდეგარ, რომანტიკულსა და ლირიკულ ხასიათს. ათასობით სურათს ერთ ორგანულ მთლიანობად აერთიანებს მშობლიური ქვეყნისადმი მხატვრის უსაზღვრო ნაზი ყოვლისმომცველი სიყვარული.

მ. კარგელაშვილი,
ხელოვნებათმცოდნე.

სურათებზე: ელენე ახვლედიანის ნამუშევრები „ნატურმორტი“; „სიღნაღი“.

თონის პური მოსკოველებისათვის

საქართველოს დელეგაციას არაჩვეულებრივი პური დახვდენენ დედაქალაქის საკონდიტროფუნთუშეულის კომბინატ „ვარსკვლაველში“. ამიერკავკასიიდან ჩამოსულ კოლეგებს მათ მიართვეს ინდუსტრიული მეთოდით გამომცხვარი შინაური ქართული თონის პური.

სტუმრებმა ღირსეულად შეაფასეს მოსკოველი ხაბაზების ახალი პროდუქცია. გემოთი და გარეგნული სახით. იგი არაფრით არ განსხვავდება იმ თონის პურისაგან, რომელიც მათ შედარებისათვის საქართველოდან ჩაიტანეს.

ქართული პურის გამოცხობის იდეა მოსკოველ ხაბაზებს დაებადათ მზიურ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს. მაშინ მათ არა მარტო იგემეს გერბიელი თონის პური, არამედ მისი დამზადების რეცეპტიც ჩაიწერეს, გამოცხობის ტექნოლოგიასაც გაეცნენ, სახელად კი „კავკასიური ლავაში“ დაარქვეს, რასაც უფრო შეჩვეულია მოსკოველთა ყური.

იმ საამქროში, სადაც ლავაში „იბადება“, მთელ მოსამზადებელ სამუშაოებს მანქანები ასრულებენ; ცომსაც ხელენ და აგუდაგებენ კიდეც. შემდეგ იგი ტრანსპორტიორით „თონეში“ მიდის.

მაგრამ მაინც ყველაზე პასუხსაგებია ხელის ოპერაცია. ისევე, როგორც შორეულ ქართულ სოფელში, საუკუნეების განმავლობაში გაწაფული მოძრაობით, აქაც სწრაფად აბრტყელებენ ცომს, და მხოლოდ ამის შემდეგ ცეცხლგამძლე კერამიკისაგან გამზადებულ თაროებზე აწყობენ. ღუმელში ზუსტად 22 წუთში გამომცხვარი ცხელ-ცხელი ლავაშები მაღაზიებში გ